საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1218 2016 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული მოძრავი ნივთის ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისათვის გადაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიეცეს თანხმობა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას (ს/ნ: 204889282), უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს თავის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) კომპლექტი ძიუდოს ტატამი (ზომა 10X10მ, სისქე - 4 სმ), 9000 (ცხრა ათასი) ლარის ღირებულებით.

2. ამ განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი